





# საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების დღეს - 25 დეკემბერს - სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდაესა და უნეტარეს ილია II-ს ულოცავს კიევისა და სრულიად რუს-უკრაინის პატრიარქი, უწმიდასი ფილარქი

პირველი გვარდიანა

გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ თქვენი უწმინდესობის საჭეთმყარობლობის ქვეშ მყოფი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძმური დახმარებით, ჩვენი ეკლესია გამოვა იმ ხელოვნური იზოლაციიდან მსოფლიო მართლმადიდებლობაში, რომელშიც იგი მოაქცია მოსკოვის საპატრიარქოს ხელმძღვანელობამ. ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია იმ ნეგატიური ქმედებების შესახებ, რომლებსაც ახორციელებს მოსკოვის საპატრიარქო საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის მიმართ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რელიგიური სეპარატიზმის მხარდასაჭერად. ამგვარი ქმედებები უწინააღმდეგებელია საეკლესიო კანონებს და აბსოლუტურად დაუშვებელი არიან ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის ურთიერთობებში. მოძმე ქართველი ერის წარმომადგენლების - საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირების,



უწმინდესი ფილარქი და პრეზიდენტი იუშენკო.

პარლამენტის დეპუტატების, სახელმწიფო მოღვაწეების გამხსენება და მხარდაჭერა სიხარულითა და მადლიერებით აღავსებს ჩვენს გულს. შევთხოვთ უფალს მოანიჭოს საქართველოს მოსახლეობას მშვიდობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საყოველთაო შერიგება.

საქართველოს უძველეს და დიდებულ საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრების დღეს - სრულიად უკრაინის ეკლესია ლოცულობს უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესადმი, რათა მაცხოვარმა განამტკიცოთ თქვენი უწმინდესობა, თქვენს მწყემსმთავრულ მსახურებაში, მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

**ქრისტესმთავარი ძმური სიყვარულით ილარქი კიევისა და სრულიად რუს-უკრაინის პატრიარქი 22 დეკემბერი 2005 წ.**

## რეფორმაცია „მიხვალის“ ბიუჯეტი

გაერო-ს მომავალ წელს უპრეცედენტოდ მცირე დაფინანსება ექნება

გაერო-ში მნიშვნელოვან კომპრომის მიღწევის ორგანიზაციის მომავალი წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. გასულ კვირაში მიღებული გადაწყვეტილებით, უნივერსალური ორგანიზაციის ხარჯები, თავდაპირველად, მხოლოდ 950 მლნ აშშ დოლარი იქნება. გაერო-ს დაფინანსების შემცირებამ, ინიციატივითაა აზრით, ორგანიზაციაში რეფორმირების პროცესი უნდა დაიქაროს.



კონ ბოლტონი: ამერიკამ მიიღო ის, რასაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მოითხოვდა.

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ახალი, ორწლიანი ბიუჯეტი, რომლის ხარჯებითი ნაწილი უპრეცედენტოდ შეზღუდულია. პარასკევს გვიან ღამით, 191-მა წევრიანმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ახალი, 3,8 მილიარდი დოლარისგან შემდგარი ბიუჯეტი დამტკიცდა. რეზოლუციამ ბიუჯეტის ხარჯებითი ნაწილი 950 მილიონ დოლარამდე შეზღუდა, რაც მხოლოდ 2006 წლის პირველი 6 თვისთვის არის საკმარისი. იმისათვის, რომ გაერო-ს თანამშრომლებს ხელფასები მიეცეთ, ექვსი თვის შემდეგ, გენერალურ მდივანს, კოფი ანანს, მოუწევს ასამბლეას მეტი დაფინანსების გამოყოფის თხოვნით მიმართოს.

აღსანიშნავია, რომ კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე მისვლის დამსახურებას მიიწერს როგორც აშშ, ასევე დიდი ბრიტანეთი, რომელიც, ამავდროულად, გაერო-ში გაერთიანებულ ევროპასაც წარმოადგენს.

გაერო-ში აშშ-ს მისი ხელმძღვანელის ჯონ ბოლტონის თქმით, კომპრომისული გადაწყვეტილება გამიზნულია გამარჯვების ნიშნად, რადგანაც, "ამერიკამ მიიღო ის, რასაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მოითხოვდა - საბიუჯეტო პროცესის მკაფიო დაკავშირება მმართველობის რეფორმების პროცესთან".

თითქმის იმავედროულად, დიდი ბრიტანეთის ელჩმა გაერო-ში ჯონ პა-

რიმ ვანაჩხაძემ: "ჩვენი (ანუ ევროკავშირის) მცდელობების თითქმის 95 პროცენტი "ჯგუფი 77"-თან (133 განვითარებადი ქვეყნის ინტერესების წარმომადგენელი ორგანო) ურთიერთგაგების მიღწევას მოხმარდა. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ ევროკავშირისთვის მისაღებ პოზიციაზე".

მოუხედავად ასეთი განცხადებებისა, განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლები მიღებულ გადაწყვეტილებით დიდად კმაყოფილები არ ჩანდნენ. გაერო-ს არცთუ გაცილებით ნეგატიური ქვეყნები მომზდენ, რომ საბიუჯეტო პროცესის ცვლილება კიდევ უფრო შეასუსტებს მათ პოზიციებს. ცხადია, მსგავსი ცვლილება დიდ გავლენას მოახდენს გაერო-ს პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესზეც.

დიპლომატიის თქმით, ხარჯებითი ნაწილის შეზღუდვა იმ მიზნით მოხდა, რომ გაერო-ზე ზეწოლა განხორციელდეს და ორგანიზაციამ 2006 წლის პირველ ნახევარში მენეჯმენტის რეფორმის განხორციელოს.

ორგანიზაციის მიმართ ნაყენებულ კორუფციის და არასწორი მენეჯმენტის ბრალდებების პირობებში, ნეგატიური მდიდარი ქვეყნები და თვითონ კოფი ანანი უკვე დიდად ხანია, რაც რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობენ.

24 საათი

## ირანი ურანის რუსეთში დაბუხავებს არ დაუბუხებს

პირველი გვარდიანა

თეთრი სახლი ირანის ბირთვულ "დანიურებას" შემფოთებით ადევნებს თვალს. აშშ არ გამოირიცხავს, რომ მუსლიმური ქვეყანა ურანის გადამუშავების შემდეგ, ბირთვული იარაღის შექმნაზეც დაინწყეს მუშაობას. ოფიციალური თეირანი აშშ-ს მსგავს ბრალდებას უარყოფს და აცხადებს,

რომ ირანის ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. მაგალითად, ბირთვული სანაგვის გადამუშავების შედეგად, ოფიციალური თეირანის თქმით, ელექტროენერჯის წარმოება გაცილებით ეფექტური გახდება. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის აგვისტოში ირანმა ბირთვული სანაგვის გადამუშავება განაახლა

და ევროკავშირთან ბირთვული პროგრამის თაობაზე მოლაპარაკებები შეწყვიტა. ნოემბერში ირანის პარლამენტმა გაერო-სთვის მიუღებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებს ქვეყნის ბირთვულ ობიექტებზე შესვლა აეკრძალათ. ირანის მხრიდან მსგავსი ქმედებები მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-სა და სხვადას-

ხვა ევროპული ქვეყნებისთვის. მიუხედავად ამისა, ირანის ბირთვული პროგრამის საკითხის განხილვას გაერო ჯერ-ჯერობით არ აპირებს. ნიშანდობლივია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხის განხილვის განახლების შემთხვევაში, ოფიციალური თეირანი აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობის გაორმაგებით იმუქრება.

საგულისხმოა, რომ გაერო-ს ირანის მიმართ ეკონომიკურ სანქციითა დაწესება შეუძლია, თუმცა, რუსეთის ფედერაცია, რომელსაც გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ვეტოს გამოყენების უფლება აქვს, ამას არ დაუშვებს. ოფიციალური თეირანი ირანის უშიშროების საბჭოს მიმართ ირანის ბირთვული პროგრამის შეწყვეტის მოთხოვნას არ აპირებს.

24 საათი

# ჯეოსელი

## გიეოსჯავთი უოგა-ახალ წელს

# GEOCELL






# საბანკო ფულადი უნაბანკო

წლიური

# 11,75%

დედნაწილი / ევრო



## + სარეზერვად



- ❁ საპროცენტო სარგებლობის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- ❁ საპროცენტო სარგებლობის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბანკოთის მეშვეობით;
- ❁ მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბანკზე დასაწივს პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- ❁ მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დამწევა კლიენტის მიმდინარე ან საბანკოთო ანგარიშზე.

# BR ბანკი რეზერვები

# 29 45 99

ცენტრალური ფილიალი  
თბილისი, ვრ.აბაშიძის ქ. 2  
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

სადგურის ფილიალი  
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია  
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდენის ფილიალი  
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20  
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი: (995 32) 590660

დედნაწილის ფილიალი  
თბილისი, ალ.ჯაბუგის გამზირი 47ა  
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161





